საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიგორი

დიგორი, მხარე თანამედროვე ჩრდ. ოსეთის რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია). მოიცავს მდ. ურუხის აუზს.

VII ს. სომხ. ანონიმურ გეოგრაფიაში იგი მოხსენიებულია „აშტიგორის" სახელწოდებით. XII–XIII სს-ში დ-ის ტერიტ. დანარჩენ ალანოსეთთან ერთად საქართვ. სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მიხედვით, დ-ის თემი იყოფოდა ორად: ჩერქეზიძედ და ბაზალიძედ.

ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი (XVIII ს.) იმერეთის სამეფოს ჩრდ. საზღვრად ასახელებს დიგორის მთას. დ-ზე გადიოდა დას. საქართველოს ჩრდ. კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა. ეს გზა გაიარეს რუსეთში მიმავალმა მეფეებმა – თეიმურაზ I-მა (1659) და ვახტანგ VI–მ (1724).

ი. გიულდენშტედტი (1772) დ-ში ასახელებს 50 ოსურ სოფელს.

წყარო და *ლიტ.*: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1964; საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., ნაწ. 1, თბ., 1948; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1959.

ჯ. გვასალია